სახელმწიფო გერბი

საქართველოს სახელმწიფო გერბის მთავარი ფიგურა არის **წმიდა გიორგი,** რომელიც ჰერალდიკაში და ვექსილოლოგიაში (ასევე საკრალურ და საერო სიმბოლიკაში) სიმბოლურად გამოისახება - თეთრ ფონზე წითელი სწორკუთხა ჯვარი (ჰერალდიკაში - ვერცხლის ველზე "მეწამული" (წითელი) სწორკუთხა ჯვარი)

წმინდა გიორგი, როგორც **ერთიანი საქართველოს სიმბოლო**, ანუ საქართველოს განმასახიერებელი და მფარველი, პირველად მეფე გიორგი III (1115-1184 წ.) დიდ სახელმწიფო საბეჭდავზე გვხვდება. მეფე დავით IV აღმაშენებლის უცნობი მემატიანე წერს, რომ 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში „**წმიდა მოწამე გიორგი** განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა" ქართველთა ლაშქარს.

გრიგოლ ფერაძეს, რომელმაც შეისწავლა ისტორიული წყაროები GEORGIA-ს სახელის წარმომავლობის შესახებ, თავის ნაშრომში „უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ", მოყავს, სავარაუდოდ 1180 წლის მეტად საინტერესო ცნობა იერუსალემის ლათინი პატრიარქის ჟაკ დე ვიტრის (Jacques de Vitry. დაახლ.1160/70-1240წწ.) ნაშრომიდან „იერუსალემის ისტორია" (The histori of Jerusalem) - „ამ ხალხს Georgian-ებს უწოდებენ, რადგანაც ისინი განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობიან და ეთაყვანებიან წმ. გიორგის, ვისაც თავიანთ მფარველად და მედროშედ თვლიან... და პატივს სცემენ ყველა წმინდანზე მეტად". ხოლო სოლმის გრაფი იოჰანი 1483 წელს წერს: „არის კიდევ ერთი

ხალხი, იერუსალიმიდან შორს მცხოვრები.. მათ GEORGIAN-ებს (ქართველებს) უწოდებენ, წმიდა გიორგის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველად აურჩევიათ“.

საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ქართული ლეგენდით, რომელიც იოანე ბატონიშვილს მოჰყავს „კალმასობაში“, დავით IV აღმაშენებელმა **„...იხილა მცხეთის იწროთა ადგილთა შინა ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან, და მოვიდა მეფესთანა, და შეიპყრა მეფემან, და მოვიდნენ მონანიცა მეფისანი, და ბრძანა მეფემან შეკაზმა ცხენისა ამისი, და აღუდვა ლაგამი წმინდის გიორგის ცხენისა“.**

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით „ქართველთა მეფენი ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდის ამის მთავარმოწამისა გიორგისასა... და იქმნა სახეი მისი შეწყნარებული პირველ ოდენად ქართველთა სახელმწიფოსა“.

მეწამულ (წითელ) ველზე ვერცხლის წმიდა გიორგი, როგორც საქართველოს გერბი, მოცემული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს თავის 1735 წლის საქართველოს და კავკასიის რუკაზე. იგი წარმოდგენილია მეფე ერეკლე მეორეს 1784 წლის დიდ სახელმწიფო ბეჭედზეც. წმიდა გიორგი, როგორც **საქართველოს გერბის მთავარი ფიგურა**, დაფიქსირებულია უცხოურ წყაროებშიც: რუსეთის მეფის ალექსეი მიხაილოვიჩის 1672 წლის ე.წ. „ტიტულარნიკში“; ავსტრიის იმპერატორის ლეოპოლდ I ელჩის იოჰან გეორგ კორბის 1698 წლის მოგზაურობის ანგარიშში და სხვა.

საქართველოს სახელმწიფო გერბში, როგორც **სახელმწიფო სუვერენიტეტის ნიშანი**, გამოყენებულია **ქართული სამეფო გვირგვინი,** რომელიც საერთაშორისო ჰერალდიკაში **„ივერიის გვირგვინის“** სახელწოდებით არის ცნობილი.

რაც შეეხება გერბის **ფარისმტვირთველ ოქროს ლომებს**, იგი მოცემულია ქართველ მეფეთა: ლევანის, ქაიხოსროს, გიორგი XI,

ვახტანგ VI, ერეკლე II, გიორგი XII და დავით XII გამგებლის გერბების გამოსახულებათა მიხედვით.

გერბი „საქართველოისი" - ვახუშტი ბაგრატიონი



სახელმწიფო გერბი

სახელმწიფო მცირე გერბი

სახელმწიფო გერბის ავტორია: მხატვარი მამუკა გონგაძე

საქართველოს პარლამენტთან არსებული

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო